თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ტექნიკური ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის შესარჩევი კონკურსის კომისიის შემადგენლობა

ა) გიორგი შამათავა - (კომისიის თავმჯდომარე) _ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) იოსებ სოფრომაძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

დ) ზურაბ კილასონია - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) გოჩა ჯანელიძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიია წევრი;

ვ) ეთერ ბლიაძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი);

თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ტექნიკური ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ტექნიკური ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ტექნიკური ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის კანდიდატის შერჩევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ტექნიკური ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის/გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში.
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა. ტექნიკურ ზედამხედველის და ხარჯთაღმრიცხველის პოზიციებზე შეჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.